№ 133. ივნისის 21, ხუთშაბათი. 1866—1884 ივნისის 21, ხუთშაბათი. № 133.

„დროების" რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მხცოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба".

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ

„დროებაზე"

ნახევარის წლით

ივლისის 1-დამ წლის დამლევამდე

ფასი ხუთი მანათი

სოფლის მასწავლებელთათვის

ოთხი მანათი.

რადგანაც უფლება, აკაკის თხზულების გამოცემისა საკუთრად მე შევიძინე, ამისათვის ვსთხოვ ყველას, რომ მისი ნაწერებიდგან, რაც კი დღემდი ყოფილა დაბეჭდილი, აღარავინ გადაბეჭდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოვეპყრობი კანონის ძალით.

(5—5) ვარლამ ჭილაძე.

## შინაური ქრონიკა.

═ ზორიდამ გვატყობინებენ შემდეგს ამბავს: «აგერ რამდენიმე ხანია, რაც სამღვდელოებამ გამოიღო ფული, რომ რიგიანი სახლი აეგონ სასულიერო სასწავლებლისთვის, რადგან ეხლანდელი სახლი ე^ თობ დაძველებული და არც ჰყოფნის სასწავლებელს. აქამდე საქმეს აბრკოლებდა ადგილის უმოვნელობა. ჯერ ყიდულობდენ ერთს ვენახს, რომელიც უნდა გაეკაფათ და აეშენებინათ სახლი. მერმე სასწავლებლის სამმართველომ გამოძებნა ერთი ცარიელი ადგილი, მდებარე დიდ ქუჩაზე, საქალებო პროგიმნაზიის გვერდით. ბაჩნდა მიწერ-მოწერა. მხურვალე მონაწილეობას იღებდა სასწავლებლის ზედამხედველი ბ. დ. დ—შვილი, რომელიც ცდასა და საშუალებებს არ ზოგავდა, რომ როგორმე მალე გათავებულიყო საქმე. ცდამ და ქირნახულმა სასწავლებლის ზედამხედველს დ—ს არ ჩაუარა ფუჭად. ხსენებული ადგილი, ზომით ათას ას-ოცდა-ერთი კვადრატიული საჟენი (1121 საჟ.), აჩუქა ბ. დ—შვილის შუამდგომლობით, ხემწიფე იმპერატორმა ზორის სასულიერო სასწავლებლის სახლის ასაშენებლად.»

═ ნავთლუხიდამ გვწერენ იქაურ სამხედრო ფერშლების სკოლაზე შემდეგს: ნავთლუხში არსებობს ფერშლების სამხედრო სკოლა. სკოლა სამკლასიანია და ამ სამ კლასში ირიცხება 154 შეგირდი, მათ შორის 14 ქართველია. ამ ქართველ ყმაწვილების შესახებ, — გვწერს კორესპონდენტი — მე მსურს საზოგადოებას შემდეგი საინტერესო ცნობანი შევატყობინო: ამ 14-თაგან შვიდი იმერელია და შვიდი ქართლ-კახელი; მათ რიცხვში ექვსი გლეხია, ექვსი აზნაური, ორი სასულიერო წოდებისა; თითქმის ყველანი ირიცხებიან პირველისა და მეორე რიგის შეგირდებად. ორს გარდა ყველანი სოფლებიდგან არიან ჩამოსულნი; ზოგიერთნი მათგანნი მთელს სკოლაში სამაგალითო შაგირდებად ირიცხებიან, როგორც, მაგ. დ—შვილი. სკოლის მმართველი და ამხანაგები ამ ყმაწვილს საზოგადო სახელს პატრიარხს ეძახიან და, როგორც დავრწმუნდი, ეს სახელი მას ღირსეულად მისთვისებია.

სკოლის მმართველის აზრით, ქართველი ყმაწვილები იმისათვის ირჩევიან სხვებისაგან და ირიცხებიან საუკეთესო შეგირდებად, რომ თითქმის ყველანი სოფლიდგან არიან ჩამოსულნი და ქალაქის ჩირქი არ მოსცხებია ამათ.

საგნების სწავლება ყველა კლასებში რუსულ ენაზედ სწარმოებს. ქართული ენის აქ ხსენებაც არ არის. მე ვფიქრობ და ამაზედ ვიცი ბევრი დამეთანხმება, რომ ქართული ენის ცოდნა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს სამხედრო ფერშლებისათვის ისე, როგორც სამოქალაქო ფერშლებისათვის ქართული და სხვა ადგილობრივი ენების სწავლის საჭიროება აღიარებულიც არის და შემოღებულიც. განსაკუთრებით ეს საჭიროება ცხადი შეიქნება მომავალში, როცა ადგილობრივი მცხოვრებლებიდგან ჯარი შესდგება და როგორც სხვებს, იმათაც ექიმები და ფერშლები დაენიშნებათ.

წელს ოთხმა ქართველმა დაასრულა კურსი ამ სკოლაში: ბერიძემ, ქავაძემ, ხუციძემ და ჩხეიძემ.

═ ხონიდამ გვწერენ, რომ იქ შემდგარა საზოგადოება ხონის საოსტატო სემინარიის შეუძლებელ მოსწავლეთა დასახმარებლად და ამ საზოგადოებაში 20 კაცი ჩაწერილა წევრად.

ხონის საოსტატო სემინარიაში წელს 20 ყმაწვილს გაუთავებია სწავლა. ამათ რიცხვში 17 ქართველია, ორი რუსი და ერთი ოსი.

═ გაზ. «კავკაზს» ატყობინებენ, რომ ბ. მურიეს, რომელიც ოდესაში დრო-გამოშვებით ჰბეჭდავს კრებულს, სახელად „L'art au Caucase" და რომელსაც შეუკრებია მრავლად ცნობანი კავკასიურ ძველ სახსოვრებზე და ხელოვნებაზე: არხიტექტურა-

---

«დროების» ფელეტონი ივნისის 21-ს

## შობის ცისკარი

თხზულება ალფონს დოდესი.

— შენ ამბობ ბარიგუ, რომ ორი დიდი ინდოური გატენილია ტრუფელებით?

— დიაღ, წმინდაო მამაო, მე თითონ ვნახე ორი ჩინებული ინდოური, გატენილი ტრუფელებითა; ასე გესინჯეთ, მე თითონ გაკეთებას ვშველოდი; ჩვენ გვეშინოდა, რომ არ გამსდარიყვნენ ცეცხლზე, რადგან ძლიერ გაიბერნენ.

— ოჰ, ღმერთო, რა მშვენიერებაა! საშინლად მიყვარს ეგ წყეული ტრუფელები... მამე ჩქარა ბარიგუ სტიხარი!... აბა კიდევ სხვას რას ამზადებენ? იყავ სამზარეულოში, ნახე?

— როგორ არა... ღმერთო ჩემო, რაებს არ აკეთებენ! დილიდგან დაწყებული ჩვენ ვპუტყვნიდით ხოხბებსა, მწყრებსა, გოჭებსა, გარეულ ქათმებსა და კიდევ სხვა-და-სხვა ფრინველებსა; მემრე თევზებს მივყავით ხელი, აუზიდან ამოვიყვანეთ: კაპოეტები, მურწები, კალმახები და...

— ოჰ! კალმახებო, კალმახებო, ჩემო მკვლელებო!... კარგია განცხრომილი ცხოვრება!... მსუქნებია კალმახები, ბარიგუ?

— ოჰ, რა მსუქნებია! იმათ დანახვაზედ პირში ნერწყვი მომივიდა... ნულარ მკითხავთ, ნულარ, წმინდაო მამაო! მაცდურობაა, მხოლოდ მაცდურობა!

— ბარიგუ, ღვინო ჩაასხი?

— დიაღ, წმინდაო მამაო, დიდი ხანია.. მაგრამ ეგ რა ღვინოა! განა კი შეიძლება, რომ ადამიანმა შეადაროს იმ ღვინოსთან, რომელსაც თქვენ მიირთმევთ წირვის შემდეგ! ოჰ! ნეტა, გენახათ ის ოთახი, სადაც თქვენთვის მზადდება ვახშამი: ის მშვენიერი ბროლის გრაფინები, სავსე სხვა-და-სხვა სასმელებითა; ყველგან ბრწყინავს ვერცხლეული, ყვავილები და გაჩაღებული სანთლები; მე თქვენ მოგახსენებთ, რომ არასდროს არ ყოფილა ამისთანა მდიდრული ვახშამი. მარკიზმა დაჰპატიჟა ახლომახლო მცხოვრებნი დიდებულნი; ასე რომ ვახშმის სტოლი დაიდგმის ორმოცი კაცისთვის. დიაღ, წმინდაო მამაო, შეიძლება რომ ადამიანს შეშურდეს! მე კი ამ საჭმელების სურნელებით თავ-ბრუ დამეხვა.

— კარგი, კარგი, ნუ მოჰყვევი... შენ არ იცი, რომ ავ-მუცლობა დიდი ცოდვა არის, ჩემო შვილო; შენ კი შობის ღამეს ეგრე ლაპარაკობ, სჯობიან წახვიდე, სანთლები აანთო და ცისკარი დარეკო, თორემ დაგვიგვიანდება; მალე შუაღამე გახდება.

ორასმა წელმა გაიარა მას აქეთ, რაც ეს ბაასი მოხდა შობა ღამეს უინდელი ბარნაბიტების მოძღვრისა, მათ ბრწყინვალების დე-ტრანკელაკების სულიერ მამა ბალიაგერისა და მის დიაკვნის ბარიგუს შუა, რომელიც იმ დროს მეფისტოფელსა ჰგავდა და მაცდურებაში შეჰყავდა წმინდა მამა. მამ ბარიგუ რეკავდა ზარებს სამრეკლოში, მამა ბალიაგერი იმოსებოდა თვის სამოსელში და, ამ მაცდურობის გამო აღშფოთებული, ელაპარაკოდა თავის-თავს:

— ოჰ! შემწვარი ინდოურები, ტრუფლები, კალმახები! რა მშვენიერება!...

ამ დროს კარზედ ჰქროდა და უშტვენდა ქარიშხალი და შორს მიჰქონდა ზარის ხმა. გზაზედ, რომელ მიდიოდა ვენეციის მთისკენ, რომელზედაც ამაყად იდგნენ ძველებურნი კოშკნი დე-ტრანკელაკებისა, მოჩანდა აქ-იქ სანთლის შუქი; ეს ფერმერების სახლობანი მოეშურებოდენ ცისკრისკენ. ამათ სახეებზედ იყო დაწერილი რაღაც განსხვავებული სიხარული; თუმცა ავდარი იყო, მაგრამ ყველანი მოდიოდენ მხნედ და მხიარულად, რადგანაც კარგად იცოდენ, რომ ცისკრისა და წირვის შემდეგ, იმათ გემრიელი და ნოყიერი ვახშამი ელოდათ.

დრელინ-დინ-დინ, დრელინ-დინ-დინ! როგორღაც მხიარულად მოისმოდა ჰაერში.

— ცისკარი კიდეც დადგა სამლოცველოში, რომელიც პატარა სობოროს მგზავსად იყო აშენებული. სანთლები კიდეც აენთოთ, ხალხი ბევრი იყო! რა მდიდრული მორთულობაა! ყველაზედ წინ იჯდა თვით მარკიზ დე-ტრანკელაკე აბრეშუმის ტანისამოსით; ამის ახლო სხვა-და-სხვა დიდებულნი სტუმარნი; ამათ მოპირდაპირედ ისხდენ ბებერი დედა და ქვრივი მარკიზა მდიდრულ ალისფერ ტანისამოსში. ცოტა ქვეით შავად მოჩანდენ, ვითა ორი შავი ლაქა ნათელ ფონზედ, ფერად-ფერად აბრეშუმის და ფარჩის შავ სამოსელში და ვეებერთელა პარიკებით, მსაჯული ტომას და ნოტარიუსი ამბრო. შემდეგ მაჟორდამები, პაჟები, მოურავები და მადამ ბარბი წელზედ წამოკონწიალებულის აჩონჩხლილ გასაღებებითურთ. საყდრის კუთხეში სავარძლებზედ მდაბიო ხალხი ისხდა, მოსამსახურეები და ფერმერები თავის ცოლ-შვილითა. კარებთან იდგენ თეთრის ქუდებით მზარეულები, რომელნიც ხან-გამოშვებით შემორბოდენ ცისკრის მოსასმენლად, თან შემოჰქონდათ სამზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე, ქანდაკებაზე, მხატვრობაზე, მიუღია საფრანგეთის სწავლა-განათლების მინისტრისაგან წინადადება, რათა წავიდეს იგი კავკასიაში და იქ განაგრძოს თავისი შრომა. ეს საქმე მიუნდვიათ მისთვის ოფიციალურად.

— გაზ. «რუსკი კურიერში» სწერია: «როგორც ვიცით, აქამომდე კავკასიის მცხოვრებელნი თავისუფალნი იყვნენ სამხედრო გადასახადისაგან საყოველთაო წესისამებრ; ამ ჟამად სამხედრო სამინისტროს, რომელიც მწყობრისა და გამართულის ჯარის გაძლიერების ზრუნვაშია, შეუმუშავებია, ადგილობრივ ვითარებასთან შეფერებით, წესები კავკასიის მცხოვრებთა მოწოდებისათვის ჯარში ჩასარიცხველად. ამ დღეებში ეს წესები წარდგენილ-იქმნა სახემწიფო რჩევის წინაშე განსახილველად და დასამტკიცებლად.

— იმავე გაზეთს ატყობინებენ, რომ კავკასიაში ტრანზიტის მოსპობის გამო ამიერ-კავკასიის რკინის-გზის შემოსავალი შემცირებულა, ხოლო ვალი, რომელიც მას ხაზინისა დასდებია, 350,000 მან. ასულა. ამ გარემოების მიზეზით სამხედრო სამინისტროს გადაუწყვეტია, რომ ის ფული, რომელიც რკინის-გზას ერგება მისგან ჯარის გადაყვან-გადმოყვანისათვის, მას კი არ მიეცეს, ხაზინის ვალში გამოებაროს ხოლმე. აზრადა აქვთ აგრეთვე, რომ შინაურ საქმეთა სამინისტროსაც მისწერონ ამ საგანზე და ესევე საშუალება იხმარონ, რათა ტუსაღების გადაყვან-გადმოყვანაში კუთვნილი ფული იმავ ვალში გაებაროს მას. ამ ანგარიშით ფიქრობენ, რომ ამიერ-კავკასიის რკინის-გზა სულ 3 და 4 წელიწადში გადაიხდის თავის ვალს.

— მცირედის შეცდომის გასწორება: გუშინდელ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი სარევიზიო ანგარიშის შემდგენელი და რევიზორად გაგზავნილი „წერა-კითხვის საზოგადოებისაგან“ სოფ. თონეთში არის ბ—ნი ს. ყიფიანი, რომლის გვარი და სახელი ანგარიშს არ ჰქონდა მოწერილი.

## «დროების» კორესპონდენცია

თიანეთის მაზრა, ივნისის 13-ს. ისე დავიწყებული და უკან ჩამორჩომილი, როგორათაც თიანეთის მაზრაა, ვგონებ, არც-ერთი კუთხე არ არის საქართველოში. ჩვენდა საუბედუროდ, მთელ მაზრაში ერთი სამ-კლასიანი სკოლაც არ გაგვეხსნა; ან კი სამ-კლასიანს ვინა ჩივის, სოფლის სკოლებიც არა გვაქს. მთელ მაზრაში ორი თუ სამი სასოფლო სკოლაა, მაშინ როდესაც სხვა კუთხეებში და სხვა-და-სხვა მაზრებში ორმოცობით სასოფლო სკოლები ითვლება, ყოველ წელიწადს მათი რიცხვი სხვაგან დიდდება, აქ, თიანეთის მაზრაში კი, გამრავლების მაგიერ, უფრო-და-უფრო მცირდება. 1873 წელსა «ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ» გახსნა თიანეთის მაზრაში თავის ხარჯზედ ოთხი სოფლის სასწავლებელი: ამტნისხევისა, თიანეთისა, არტაანის და ჩარგლისა. არტაანის და ჩარგლის სკოლა მოღვაწეობდენ ჩვენი ფშავლებისთვის თითქმის შვიდ-შვიდი წელი და შემდეგ, ესე იგი 1880 წელში, საზოგადოების შეუძლებლობისა გამო, დაუქმდენ. ამათ გაუქმებაზედ ფშავლები თუმცა ძალიან სწუხდენ, მაგრამ რა გაეწყობოდა. თუმცა კიდეც ჰქონდათ მათ სჯა ამ საქმეზედ და განაჩენიც შეადგინეს, რომ კვამლეულად მანეთი აძლიონ წელიწადში სკოლის სასარგებლოდ და განაჩენი მაზრის უფროსს წარუდგინეს აგერ მეოთხე წელია, მაგრამ აქამდინ არავითარი განკარგულება არ მოსულა ამ საქმეზედ.

სწორედ რომ დავიწყებული კუთხეა თიანეთის მაზრა: არ საით არ გვიჩნდება ხალხის გამომღვიძებელი და გულ-შემატკივარი პირი. აგერ სამი წელიწადია, რაც გაიძახიან, რომ სამ-კლასიანი სკოლა უნდა გაიხსნას თიანეთშია და ჯერაც არ სად არის. ღმერთმა ბძანოს, რომ ეს ჩვენთვის სანატრელი განზრახვა მალე აგვისრულდეს. თუმცა კარგია, რომ სოფლებს სკოლებიცა გვქონდეს, მაგრამ რა ვქნათ: ისევ უიმისობას უფრო მოვითმენთ, იმიტომ რომ მათგან ნაყოფი არა სჩანდა-რა, ისე იყვნენ მოწყობილნი.

არტაანის და ჩარგლის სკოლებმა შვიდი წლის განმავლობაში ვითომ რა სარგებლობა მოგვიტანეს? არავითარი სარგებლობა არა მოუტანიათრა. ბ. ს. ჯ—ძის შაგირდები ჩარგლის სკოლაში სულ რუსულად ჯიყჯიყებდენ, მაგრამ რა გამოვიდა იქიდგან.—შაგირდები შინ დაბრუნდენ, მამა-პაპურ საქმეს მიჰყვეს ხელი და ის რუსული ჯიყჯიყიც დაავიწყდათ და ქართული წერა-კითხვა ხომ უიმისოდაც ცოტა იცოდენ, ასე რომ ვისაც ცხვარში უსწავლია ანბანი, ათის წილობით სჯობნიან წერა-კითხვაში. აი ამ ნაირი სკოლა კი, სწორედ მოგახსენოთ, ბევრი არაფერი სანატრელია ჩვენთვის, და რაც უფრო მალე გაუქმდება, ისა სჯობიან.

გ. ნ—ძე.

## წერილი რედაქტორთან.

პარიჟში მოსწავლე ქართველებისაგან მოგვივიდა წერილი რომლითაც იგინი, როგორც ჩვენ, ისე სხვა აქაურ რედაქტორებს, მოგვმართავენ თხოვნით, რომ მათ ვუგზავნოთ აქაური გაზეთები და ჟურნალები, რასაც ჩვენ დიდის სიამოვნებით ვკისრულობთ.

ბ.ბ. რედაქტორებო! პარიჟელი ქართველი ახალგაზდობა უმორჩილესად მოგმართავთ შემდეგის სათხოვარით: სამშობლოს მოშორებულთ მეტად საინტერესოდ მიგვაჩნია ჩვენი ცხოვრების ამ ბავნი, მაგრამ, ჩვენებური ჟურნალ გაზეთების უქონლობისა გამო,

---

რეულოს სუნი და მადას უღვიძებდენ იქ მყოფთა.

იქნება, ამ თეთრი ქუდების დანახვა უფანტავს გონებას უბედურს მღვდელს! ან იქნება, ეს საშინელი ზარის რეკა ამ გაფთრებულის გარიგუსი?! თითქო იმითი ამას ეუბნებოდა: აბა ჰა!.. ჩქარა... ხომ იცი, რაც უფრო ჩქარა გაათავებ, უფრო ადრე დაჯდები ვახშამზედ. ეს იყო მიზეზი, თუ სხვა რამ, საქმე კი ის გახლდათ, რომ ყოველთვის, როდესაც ზარი დარეკავდა, საწყალ კაპელანს სრულებით ავიწყდებოდა თავის სამსახური; ის მხოლოდ ვახშამზედ-ღა ფიქრობდა, უბედურს თვალ-წინ უდგებოდა ერბოს შიშინი ტაფაზედ. სასიამოვნოდ ანთებული ცეცხლი და მშვენიერი საჭმლის სურნელება, რომელიც ამოდიოდა ნახევრობაზე ახდილ ქვაბებიდგან, და ამათ შორის ორი მშვენიერი დაბრაწული ინდოური, გატენილი სხვა-და-სხვა მასალებითა, უკლავდენ გულს საწყალ კაპელანს. ხან უცბად სურათი გამოიცვლებოდა: მის თვალ-წინ იხატებოდა ვეება სადილის ოთახი, რომელშიაც დამწკრივებულ პაჟებს მოაქვთ ბლუდები, სავსე სხვა-და-სხვა საჭმელებითა, მოდის მაცდური სუნი და საშინელ აღშფოთებაში მოჰყავს დამშეული კუჭი საწყალის კაპელანისა. თვით სტოლზედ ვითომ იმოდენა საჭმელია, რომ, როგორც იტყვიან, ნემსის კუნწი არ ჩავარდება, ჰურჯლის შუა აქა-იქა დგანან მშვენიერი გრაფინები, სხვა-და-სხვა სასმელებით სავსე, ფერად-ფერადად; თითქო ცისარტყელაათ, ისე მშვენივრად არიან ვითომ დამწკრივებულნი? აქა-იქ დაწყობილია ხილით სავსე დიდი ვაზები; წინ ის გასაკვირველი თევზები უწყვია, რომლებზედაც იმდენს ლაპარაკობდა გარიგუ... თევზები, დაწყობილი ბლუდებზედ, მშვენიერი გარნირებითა და მწვანილითა, და ეს თევზის ბოლო, რომელიც ბრწყინავს, თითქო ეხლ ამოულიათ წყლიდანაო—ყოველივე ეს ცხოვლად იხატებოდა მამა ბალიაგრის თვალ-წინ; ის სასახლეშია და იმ წინ საკურთხეველი კი არ არის, სტოლი სდგას სხვა-და-სხვა სასმელებით: ორჯელ აჩქარდა სულიერი მამა ცისკრის დროს და შენიშნა, რომ Dominus Vobiscum-ის მაგიერად Benedicte წამოსცდა, მაგრამ ამ მცირედ ნაკლულევანების გარდა, მამა ბალიაგერი სრულიად ღირსეულად და კეთილ-სინიდისიერად სცისკრავდა. არ სტოვებდა არც ერთ ასამაღლებელს და არც ერთ მშვიდობიანს; გარდა ამისა, ცისკარი შესრულდა ისე, როგორც წესია მუხლის მოყრითა და პირჯვრის-წერითა. ცისკრის შემდეგ დადგა შემოკლებული წირვა, რომელსაც მოჰყვა რიგზედ უფრო გავრცელებული წესისამებრ.

— მადლობა ღმერთსა! ერთი მოვიშორე! — წაიბუტბუტა კაპელანმა, ამოიოხრა შემსუბუქებულმა და მაშინვე ანიშნა დიაკვანს, რომ წირვისთვის დაერეკნა.

„დერლინ-დინ-დინ! დერლინ-დინ-დინ! დერლინ-დინ-დინ! დერლინ-დინ-დინ“!

დადგა შემოკლებული წირვა და ამასთანავე გამრავლდენ მამა ბალიაგერის ცოდვანიც. «აბა, ჩქარა, რაღა! სამზარეულოში სუყველაფერი მზად არის კიდეცა!—თითქო ჰყვიროდა გარიგუ თავის ზარებით; და ამასთანავე საცოდავი კაპელანი გაება შეცდომებში, აჩქარდა და კურთხევანის ფურცლები საჩქაროდ გადადიოდა ერთი ერთმანეთზედ, აჩქარებული ეცემოდა მუხლზედ, ადგებოდა ისე სწრაფად, რომ პირჯვრის-წერა ავიწყდებოდა და სრული ვერესი სულ წააფუჩჩა. ეშურებოდა, რომ ჩქარა გაეთავებინა; ის იყო გახსნა სახარება და ისევ საჩქაროდ დახურა, დაავიწყდა, რომ იმითი უნდა ეკურთხებინა ხალხი. მღვდლისა და დიაკვნის შუა შეიქნა გაცხარებული ჯიბრი, რომ ერთმანერთისთვის წინ გაესწროთ. სიტყვები იყლაპებოდენ, განსაკუთრებით მღვდლის ხმა იკარგებოდა დიაკვნის გალობით. პირსაც კი აღარ აღებდენ, იმიტომ რომ, რაც უნდა იყოს, იმასაც დრო უნდოდა; მხოლოდ სიტყვები, ანუ უკედ ვსთქვათ, თვითეული მარცვალიღა გამოჰქროდა მათი კბილებიდგან.

— Ormus ps... ps... ps mea culpa... pa... dem... scum... ბუტბუტებს გაჩქარებით მამა ბალიაგერი.

— Statuo!---უშლის იმას გარიგუ და ისე აგრძელებს რეკვას, თითქო ფოსტის ტროიკა მორბისო ქლარუნიანი ცხენებით.

— ეს რა არის, რომ დღეს ასე ჩქარა თავდება წირვა,—ჰკვირობენ მლოცველები, მაგრამ წმინდა მამა ეჩქარება ისე, რომ გაწითლებული, ოფლიანი, გაგიჟებულივით, მორბის საკურთხეველიდგან და აუწყებს დაგვიანებული წირვის დასაწყისს.

— „დერლინ-დინ-დინ! დერლინ-დინ-დინ! დერლინ-დინ-დინ!“

ეს დაგვიანებული წირვა მოფრინავს კურიერსავით. ცოტა კიდევ და ის პურის საჭმელ ოთახში იქნება. იმის და გვარად, რაც ვახშმის დრო უფრო ახლოვდებოდა, კაპელანს მუცელი უფრო გახშირებით ელაპარაკებოდა და ამონებდა შემწვარ ინდოურებს.

— ოჰ, ღმერთო! რანაირი განსაცდელია! გემრიელ საჭმელებს ოშხივარი ასდით; ღვინოებს მოაქვთ დამათრობელი სუნი. ზარი-კი რეკავს უფრო გაცხარებით, თითქო კაპელანზე მეტად ის ეშურებაო; იგი ჩქარა ველარ ლაპარაკობს, ძლივს ტუჩებს აცმაცუნებს, გამოიძახის მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტად ხმებს.

— გავბედო და ღმერთი მოვატყუო და მოვძირო ეს უკანასკნელი წირვა? ჰფიქრობს გულში კაპელანი; საწყალი ჰბედავს ამას, გადადის ერთი შეცდომიდამ მეორეზე, სტოვებს მთელს სტრიქონს ლოცვებიდგან, შემდეგ ორსაც, რომელსაც თავი ძლიერ გრძელი აქვს; ლონე აღარა ჰყოფნის გაა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერა მოგვიხერხებია-რა. ამიტომაც დიდად სასიამოვნო იქნება, რომ დაგვავალებდეთ და გამოგვიგზავნიდეთ თქვენის პატივცემულის ჟურნალ-გაზეთების ნომრებს, ამ ადრესით:

Paris, Rue Flatteurs, № 10. A Monsieur George Wesirichwili.

პეტრე მირიანიშვილი
დ. წულუკიძე
გ. გურული
ად. დიდია
გიორგი ვეზირიშვილი

ქ. პარიჟი.
1884 წ. 19 (7) ივნისს.

## რუსეთი

— «რუსკი კურიერში» ვკითხულობთ, რომ იმ ცალკე კომისიას, რომელიც დაარსებული იყო უწ. სინოდთან და რომელიც მუშაობდა სემინარიის ახალის წესდებულობის შემუშავებაზე, ბევრგან შეუცვლია ეს უკანასკნელი და ყველაფერში რუსეთის სამღვდელოების თანამედროვე მდგომარეობის მიხედულებით დაუწესებია. დაუდგენია, რომ 1) სხვა ახალის წესით იქმნან ხოლმე განწესებულნი მასწავლებელნი სემინარიისა და 2) რომ შეცვლილ იქმნას ურთიერთობა სემინარიისა და ადგილობრივ სამღვდელოებათა სასწავლებელთ შორის და სხ. ამბობენ, რომ ახალი სემინარიის წესდებულება შევა ძალაში მომავალ სამოსწავლო 1884—1885 წლიდამ.

ამ უკანასკნელ დროს ძლიერ ცვლა და გადაკეთებაა სხვა-და-სხვა სასწავლებელთა წესდებულებათა და როგორ მოუხდება ყველა ეს მუშაობა განათლების, მომავალი გვიჩვენებს. როგორც ვიცით, საუნივერსიტეტო წესდება ძრიელ იქმნა შეცვლილი. შეიცვალა აგრეთვე სასულიერო აკადემიათა წესდება. პირველის წესდების ძალით ბევრგვარი უფლება და უპირატესობა ჩამოერთვა რექტორს, როგორც თავს კოლეგალურის დაწესებულებისას, რომელიც იმართებოდა აქამომდე საარჩევანო წესით. ამ გვარი ცვლილება საუნივერსიტეტო წესდებაში იყო იმის მიზეზი, რომ ამ საგნის თაობაზე სახემწიფო რჩევაში ხმანი ორ თანაბარ რიცხვად გაიყვნენ, რისა გამო ჯერაც ეს წესდებულება დამტკიცებული არ არის.

## უცხოეთი.

ეგვიპტე. ქოროსკოდან იწერებიან გაზეთებში, რომ იქ მისულა ერთი ბერბერიდგან გამოქცეული არაბი და ამ ქალაქის დაცემაზედ უამბნია შემდეგი საინტერესო ამბავი, რომლის სინამდვილე ქოროსკოში მყოფს ბერბერის გუბერნატორის შვილსაც დაუმტკიცებია. ეს არაბი გზის მაჩვენებლად გამოჰყოლია ბერბერიდგან გუბერნატორის ძმის-წულს და ტელეგრაფის სტანციის უფროსს პუცს, რომელთაც განძრახვა ჰქონოდათ როგორმე გაქცეულიყვნენ; მაგრამ, გამოვიდენ თუ არა ქალაქ გარედ, მაშინათვე აჯანყებულებს ჩაუცვივდენ ხელში; უკანასკნელთ სამივე ტყვედ წაიყვანეს და ძალა დაატანეს მათ რათა ჰეშმარიტ წინასწარმეტყველად აღეარებინათ მაჰომედ-ახმედი (მახდი); პუციმ მაშინათვე აღასრულა მათი სურვილი და მაჰმადიანობაც მიიღო. როდესაც მოამბე არაბი აჯანყებულებს ტყვედ ჰყვანდათ, იმან თავის თვალით ნახა, როგორც აიღეს ბერბერი მაისის 23-ს. ქალაქის მცველნი პირველად გმირულად დახვდენ აჯანყებულებს და ორი საათი მედგრად ეომნენ, მაგრამ მალე გამოელიათ საომარი მასალები. მაშინ გაშმაგებული აჯანყებულები ეძგერნენ ქალაქს, შეცვივდენ შიგ და სულერთიანად ამოხოცეს მოზდილი მამა-კაცნი, ამ დროს 1,500 გარნიზონის კაცი მოიკლა და 2,000 მცხოვრებელი. აჯანყებულებს იარაღად მარტო ხმლები და შუბები ჰქონდათ. გუბერნატორი ჰუსეინ-ხალიფ-ფაშა ფეხში დაიჭრა და ბევრი ტანჯვა და მწუხარება გამოიარა საპატიმროში განძვინებულ მძლეველთაგან.

გაზეთების სიტყვით ინგლისის მმართებლობას შემდეგი წერილი მიუღია კაირის მმართებლობისაგან: «ზებერ-ფაშა კისრულობს ხუთი კვირის განმავლობაში მოაწერინოს აჯანყებულთა მთავარ წინამძღოლთ და თვით მახდისაც წერილი, რომ იგინი თანახმანი არიან დაჰყარონ იარაღი. ზებერ-ფაშა ჰპირდება ხედივს,—გააუქეთოს ეს საქმე შემდეგი პირობებით.

«მან, ზებერ-ფაშამ, უნდა მიიღოს ეგვიპტის ეხლანდელი მმართებლობისაგან ინვესტიტურა, რომ ის სუდანის მთავრად და ხედივის მოადგილედ ინიშნება. ეს წოდება მემკვიდრეობითი უნდა იყოს მისს შთამამავლობაში. ის და მისი შთამამავლობა მოვალენი არ უნდა იყვნენ ეგვიპტეს ხარჯი აძლიონ; ახალი მმართებლობა უნდა იყოს სრულიად ავტონომიური, რის გამოც ხედივი ხელმწიფედ კი არ უნდა დადგეს, არამედ სუდანის სიუზერენად. სუდანის თემთა წინამძღოლთ უნდა დაიფიცონ, რომ ზებერის მორჩილნი იქნებიან.

იგი, ზებერი, თავის მხრით ვალდებულად ხდება: 1) მოიყვანოს კაირში გენერალი გორდონი და მისი ამალა საღად და უვნებლად; 2) მოსპოს მონებით ვაჭრობა; 3) გაუხსნას ევროპიულს ვაჭრობას თავისუფალი გზა ხართუმში და მთლად სუდანში; 4) ნება მისცეს, რომ სუდანის ქალაქებში ევროპიელნი ელჩნი იმყოფებოდენ; 5) ყოველგვარი სარწმუნოება თავისუფალი იყოს.

«ამას გარდა, ეგვიპტის მმართებლობა თავდებად უნდა დაუდგეს, რომ ინგლისი წინააღმდეგობას არ გაუწევს მას სუდანის ამგვარად მოწყობაში.»

---

თაოს ბოლომდინ, აყრის ერთი-ერთმანეთზედ ფურცლებს და უშვებს სტრიქონებს. ამ გვარად ჩქარის ნაბიჯით მიისწრაფვის იგი ქვესკნელი ჯოჯოხეთისკენ. საჩილარი ბარიგუ უბანებს, ისე რომ მეტი არ შეიძლება, ფურცლავს ერთი მეორეზედ წიგნის გვერდებს, აბრუნებს ეკლესიის ჰურჭლებს, ატოკებს ტრაპეზს და განუწყვეტლად ანძრევს თავის ზარით სუყველაფერს. ახლა უნდა ნახოთ განცვიფრებული სახეები დამსწრეთა; წირვის დროს ვერც ერთს სიტყვას ვერ იგონებდენ: ერთნი დგებიან და პირჯვარს იწერენ, მეორენი სხდებიან, და არ იციან, როგორ მიჰყვნენ მღვდელს.

მამა მოძღვარი ძალიან ეჩქარება. ღონის-ძიება არ არის, რომ ადამიანმა წირვისა რამე გაიგოს. ჩურჩულებს ბებერი ქვრივი მარკიზა მარაოს ქნევით. მოსამართლე არნანტონი ცდილობს, რომ იპოვნოს თავის ლოცვანში ის ადგილი, რომელსაც კითხულობს მღვდელი; მაგრამ გულში კი გემრიელ ვახშამზედ ფიქრობს აგრეთვე და უხარის რომ ესე ჩქარა გამოდის წირვა. ბოლოს მამა ბალიაგერმა ალტაცებული სახით შეხედა იქ მყოფს ხალხს და სიხარულით დაიძახა: ite misu est. ყველამ ერთხმად წამოიძახეს Deos gratos ისეთის სიხარულით, თითქო ისინი ისხდენ ვახშამზედ კიდეც და სადღეგრძელოსაც სვამდნენ.

რამდენიმე წამის შემდეგ დიდი კოშკის დარბაზში ისხდა წარჩინებული ხალხი, კაპელანის მეთაურობით; ციხე-დარბაზი სულ ერთიანად განათებული იყო; აქა-იქ ისმოდა სიცილი, ლაპარაკი, სიმღერა და წკარუნი ბროლის სირჩებისა. პატივცემული მამა ბალიაგერი ერთგულად ურჭობდა ჩანგალს მწყერს ფთაში, სვამდა ღვინოს და თან ატანდა მშვენიერს შემწვრებს. მაგრამ საწყალი წმინდა მამა! სვა და ჭამა ისე გულიანად, რომ იმ ღამესვე გარდიცვალა დიდის წვალებით. ვერც-კი მოასწრო მონანიება თავის ცოდვებისა და დილით ზეცას ისე წარსდგა, რომ ჯერ გონებიდან არ გამოსვლოდა ეს მშვენიერი მეჯლიში. ვერ წარმოიდგენ როგორ მიიღეს ის იქ!

უმაღლესმა გამკითხველმა უთხრა მას: „განვედ ჩემგან, ურწმუნო! შენი ცოდვა ისე დიდია, რომ მთელ შენ სიმართლიან ცხოვრებას სთრგუნავს! შენ გინდოდა, ჩემთვის წირვა მოგეპარა... კარგია, კარგი. შენ ერთი-ორად მომცემ; სამასჯერ სწირავ აქ და ვერ შეხვალ სამოთხეში, ვინემ არ შეასრულებ ამ სამასს წირვას შენს საყდარში იმათთან ერთად, ვინც შესცოდეს და შესცოდეს შენის გამოისობით.

აი მამა ბალიაგერზედ რა გვარ ანდაზას მოგვითხრობს ხალხი. კოშკი დე-ტრანკელაჟებისა აღარ არის, მაგრამ სამლოცველო კიდევ არის ვენდის მთის თავზედ, რომელიც სდგას ძველ მუხებში და რომელშიაც ზუზუნით შეჭრის ქარი დანგრეული კარებიდგან; ირგვლივ ბალახით არის გარემოცული კუთხეში თაღები და ფანჯრები უმინო აქვს და მათში დიდი ხანია ღამის ფრინველებს გაუკეთებიათ ბუდეები; ყოველ წლივ შობის ღამეს ამ დანგრეულ კოშკის შუა გლეხ-კაცები ხედავენ რაღაცა საოცარ მოვლენას. აი რა ნაირად ელანდება ხალხს ეს მოჩვენება: ძველ სამლოცველოდგან გამოდის ცეცხლის შუქი, რომელიც არა ჰქრება არც თოვლით არც წვიმით. გაიცინეთ ამაზედ, თუ გნებავდეთ, მაგრამ ერთმა ფერმერმა დაიფიცა, რომ, როდესაც მე დავბრუნდი შობის ღამეს, გზა დამეკარგა იმ მთაზედ, სადაც იყო ციხე-დარბაზი დე-ტრანკელაჟებისა. მაშინ მე აი რა დავინახე: ღამის თერთმეტ საათამდინ იყო სიჩუმე და აღარავინ ჩანდა. უცფად შუაღამისას მოისმა ზარის რეკა... ამის შემდეგ ბილიკაზედ, რომელიც მიდიოდა გორაზე, გამოჩდენ აქა-იქა სანთლები და გამოურკვევლად ადამიანის ჩრდილები. იმათ მოახლოვებაზედ მოისმა ჩურჩული და განუწყვეტელი ლაპარაკი. როდესაც ეს მოჩვენებანი შევიდენ სამრეკლოში, ამის მნახველი, რომელიც უშიშარი იყო, მიახლოვდა ჩუმად სამრეკლოსთან და დაუწყო ნახევრად დაქცეულის კარებიდამ ყურება. უცნაური სანახავი დაინახა იმისმა თვალებმა: მთელი ეს ხალხი, რომელმაც გაიარა იმის სიახლოვეს, ისხდა დაწყობილ რიგობაზედ ხოროს გარეშემო. დიდის კაცის ცოლები ფარჩის კაბებით, წარჩინებულნი—ნაკერი მუნდირებით; გლეხ-კაცნი ჭრელი ტანისამოსით, სულ იქ იყვნენ შეკრებილნი, მაგრამ იმათგან მოდიოდა უსიამოვნო სუნი დიდი-ხნის დაბეგებული მიწისა. ხან-დის-ხან ღამის ფრინველები, გაღვიძებული იმ დაუჩვეველი სანთლის შუქისგან, იღვიძებდენ და ფრინავდენ, აფართხუნებდენ ფრთებს, საშინელ გრძელ წმინდა სანთლების გარეშემო. ერთი იმ მლოცავთაგანი დიდი სათვალეებით ცხვირზე, როგორღაც ბეჯითად ანძრევდა თავის დიდ პარიკსა, რომელზედაც აჯდა თმებში გაბლანდული დიდი ღამის ფრინველი. საკურთხევლის წინ პატარა კუზიანი ბებერი უიმედოდ რეკავდა თავის ზარსა; მეორე ბებერი ფარჩის შესამოსელით დადიოდა წინ-და-უკან საკურთხეველში და იმეორებდა სხვა-და-სხვა ხმით და გაურკვეველი სიტყვებით რაღაც ლოცვასა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ბებერი იყო მამა ბალიაგერი, რომელიც ეშურებოდა შობის წირვის გამოყვანას.

დ—ძ—ზ—ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის საგენტოსი“)

იუნისის 19-ს.

**ბერლინი.** დოქტორი კოხი, რომელიც ცნობილია აზიური ხოლერის გამოკვლევით, ამ დღეებში იგზავნება გერმანიის მმართებლობისაგან ტულონში იქაური ეპიდემიის ხასიათის გამოსაკვლევად.

**პარიჟი.** წარსულ ღამეს მარსელში ხოლერისაგან მოკვდა სამი და გუშინ დილით ტულონში ერთი კაცი.

**კოპენჰაგენი.** საფრანგეთის პორტებიდგან მომავალი გემები ისინჯებიან კარანტინის წესით.

იუნისის 20-ს

**პეტერბურგი.** შინაურ საქმეთა სამინისტროს გამგებლის განკარგულებით გაზეთს „Нѣделя“-ს გამოეცხადა პირველი გაფთხილება, რადგან წერილში «შესანიშნავი იუბილეი» არის აღტაცებული ქება საფრანგეთის რევოლიუციისა 1789 წლისა და რადგან ამას გარდა ამ გაზეთმა არა ერთხელ დაამტკიცა თვისი მავნე მიმართულება.

გარდაწყვეტილია—დაფუძნდეს ხარკოვში ტეხნოლოგიური ინსტიტუტი. იმედი აქვთ, რომ ეს ინსტიტუტი 1885 წ. გაიხსნება.

რადგან მოპასუხენი ხშირად სასამართლოებში საქმეებს აგვიანებენ თავიანთ ქონების დასამალავად, აზრადა აქვთ შეამცირონ ვადა პასუხისა («ოტზივის») და აპელაციური საჩივრების შეტანისა მომრიგებელ მოსამართლეების მოპასუხეთა დაუსწრებელ გარდაწყვეტილებაზედ და ამას გარდა უნდათ მოჩივართ მეტი ღონისძიება მისცენ გარდახდევინებისა.

**ლონდონი.** რუსეთის ახალმა ელჩმა სტაალმა მიართვა გუშინ დედოფალს თავის გრამოტები.

**ტულონი.** ორშაბათის საღამოს 6 საათიდამ სამშაბათ შუაღღემდე ექვსი კაცი მოკვდა ხოლერით.

# განცხადებანი

—

**ბომაზეი! ბომაზეი!! ბომაზეი!!!**

ფაბრიკის ფასად იყიდება ინგლისის მაღაზიაში, არწრუნის ქარვასლაში. იქვე ისყიდება $30^{0}/_{0}$-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: დასაკეცი სკამები, სტოლები და კრაოტები; კლიონკა, ჩულქები და წინდები; ბისკვიტები კაკაო და შოკოლადი; პორტსიგარები, ბუმაჟნიკები, ჩოთქები სხვა-და-სხვა გვარი; თოფები რევოლვერები და ხანჯრები. ნიჩბები, ხაფანგები და ბარები ანუ წერაქვები; პირველ მოკრეფილი ჩაი და სხვა ამგვარი. (10—1)

## თბილისის საქალაქო გამგეობა

ამით ატყობინებს ყველას, რომ იუნისის 25, დღისით 12 საათზე, მის თანა-დასწრებით იქნება ვაჭრობა იჯარით გასაცემად ავლაბრის საქალაქო ადგილისა გაჯის წარმოებისათვის, სივრცით 229 დესიატინა 1560 კვად. საჟ., რომელიც მდებარეობს ქალაქის პირად, ავლაბარში. ვადა იჯარისა 3 წელიწადია პირობის შეკვრის დღიდგან დაწყობილი. იმ პირთ, რომელთაც ჰსურთ შევიდენ ვაჭრობაში, შეუძლიანთ ყოველივე პირობანი შეიტყონ გამგეობის კანცელარიაში $8\frac{1}{2}$ საათიდამ 1 საათამდე. (3—2)

## ინგლისური რკინის კრაოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება $25^{0}/_{0}$-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფაიფორსი, დასადგმელი, პირისაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაო, სკები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარშევები, სამარილეები, გარჩიცის საფუხეები, ხანჯრები კაცისა და ქალისა; ალვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჟები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, ვატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—24)

გამოვიდა და ისყიდება:

**ბ ა ნ ქ ი ც ხ უ ლ ი.**

მოთხრობა

ა. მ. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)

ფასი ათი შაური.

ისყიდება: თბილისში, «დროების» რედაქციაში და შავერდოვის წიგნების სააგენტოში.

ქუთაისში. ჭილაძის მაღაზიაში.

თელავში. ბ. როსტომაშვილთან.

ფოთში. ბ. ხუმარაძის მაღაზიაში. (20—19)

0000000000000000000000000000000000000000000000000000

შენახვა ჩრჩილისა და ბუზანკალისაგან.

**ნაფტალინი** (ქაფური) **ჩრჩილის გამწყობი** წყალი, სპარსული და დალმატიური პარაშოკი, გუტპერჩის ტომრები ბეწვეულობის და შალის ტანისამოსის შესანახავად. პომადა მეტალთა დასაფერავად, საუკეთესო ფრანცუზული ვაქსა, გლიანც-სახამებელი, ლილა და სხვანი საოჯახო ნივთეულობანი ისყიდებიან თბილისში, საატიაქო საქონლების სავაჭრო კავკასიის ამხანაგობაში. (70—14)

0000000000000000000000000000000000000000000000000000

**PAPIER RIGOLLOT**

**БУМАГА РИГОЛЛО**

**ГОРЧИЦА НА ЛИСТАХЪ ДЛЯ СИНАПИЗМОВЪ**

ПРИНЯТАЯ ВЪ ПАРИЖСКИХЪ ГОСПИТАЛЯХЪ

ВЪ ВОЕННЫХЪ БОЛЬНИЦАХЪ, ВЪ МОРСКОМЪ ФРАНЦУЗСКОМЪ И АНГЛІЙСКОМЪ КОРОЛЕВСКОМЪ МОРСКОМЪ ВѢДОМСТВАХЪ

**Единственное средство, ввозъ котораго дозволенъ въ Имперію медицинскимъ совѣтомъ.**

Принимайте за *НАСТОЯЩУЮ* **БУМАГУ РИГОЛЛО** лишь ту, листы которой имѣютъ поперегъ сію подпись **красною** краской.

*F. Rigollot*

*Продается во всѣхъ аптекахъ.*

**ГЛАВНОЕ ДЕПО**

**24, Avenue Victoria**

PARIS

**Въ Парижѣ.**

(32—12)

## ინგლისის მაღაზიაში



**თმის-ამომყვანი**

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—43)

**მაკ-მასტერი**

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 16 იუნისიდამ 1 ივლისამდე 1884 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — —1 გირ. 5 კ.

აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — —1 გ. $2\frac{1}{2}$

მეორისა — — —1 გ. 2 კ.

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

პირველი ხარისხის —1 გ. $4\frac{1}{2}$

მეორისა — — —1 გ. 3 კ.

მესამისა — — —1 გ. $2\frac{1}{2}$

ჭვავის-მჟავი პური:

პირველი ხარის. ლავაში 1 გ. $4\frac{1}{2}$

მეორის ხარის. ლავაში 1 გ. $3\frac{1}{2}$

მესამისა — — —1 გ. 3 კ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხისა —1 გ. 8 კ.

მეორისა — — —1 გ. 7 კ.

სუკი . . . —1 გ. 15 კ.

ცხვრის ხორცი —1 გ. 8 კ.

ღორის ხორცი:

პირველის ხარისხისა —1 გ. — კ.

მეორისა — — —1 გ. — კ.

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)